ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 18 (1456) 3-6 ივნისი, 1996 წელი

## 29 საჭირბოროტო შეკითხვა თენგიზ კიტოვანს

არმია იღებდა დასახლებულ პუნქტებს და ბრძანების შემდეგ უკან იხევდა. ვისგან მოდიოდა ასეთი ბრძანებები, კონკრეტულ მაგალითს ხომ ვერ გვეტყვით?

მე-4 გვ.



## შენც დაგიჭერ, ჯაბასაც დავიჭერ, მეც დამიჭერენ, ტრიფონსაც დაიჭერენ...

## გიგამ მისი დანახვისთანავე სასწრაფოდ ჩამოსწია „ბარდაჩოკი“ და თითი დააჭირა ღილაკს...

მე-3 გვ.





## შევარდნაძემ თავად აიფეთქა საკუთარი თავი!..

მე-3 გვ.

თენგიზ სიგუა:

«ზვიადი უდაოდ ეროვნულ ნიადაგზე მყარად მდგარი პიროვნება იყო და ის საბედისწერო შეცდომები, რომელიც მას მოსდიოდა, ჩემის აზრით, მისი გარემოცვის ზეწოლის შედეგი იყო. რაც შეეხება შევარდნაძეს...»

მე-2 გვ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ იყო ვინ?

### მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

# 17 მწარე შეკითხვა და თენგიზ სიგუას პასუხები

გაგრძელება. დასაწ. იხილეთ „საქართველო" №16,17

**9**

**— გადატრიალების დღეებში სად გქონდათ? არის აზრი, თითქოს თქვენ სამი ღამე რუსეთის ნაწილებში გაათენეთ. რა მიზნით?**

**10**

**— გამარაგებდნენ თუ არა რუსები იარაღით და ამასვე სჩადიოდნენ თუ არა სამთავრობო გვარდიის მიმართაც?**

**11**

**— თქვენი ერთ-ერთი ინტერვიუს მიხედვით გამსახურდია ბუნკერიდან 6 იანვრის დილით გაუშვეს. გაუშვით თქვენ თუ გაუშვა სხვამ? თუ ეს თქვენს გარეშე მოხდა, მაშ რომელი ძალები წყვეტდნენ ასეთ საკითხს და შეუთანხმეს თუ არა რუსეთს?**

**12**

**— თვლით თუ არა, რომ იარაღის ძალით კანონიერი ხელისუფლების დამხობა, თუნდაც ეროვნული მიზანი გქონოდათ, საბოლოოდ, ობიექტური თვალსაზრისით, მორიგ უბედურებათა საწყისად იქცა?**

**13**

**— თქვენ გამსახურდიას ხელისუფლებისა და შევარდნაძის ხელისუფლების დროს იყავით პრემიერ-მინისტრი. ორივეჯერ მოგიხდათ გადადგომა ერთი და იგივე პრინციპების გამო, როგორც თქვენ მოუთითებთ არასასურველი კადრების ხელისუფლებაში მოყვანის გამო.**

**როგორ შედარებას მოახდენდით ამ ორი ხელისუფლებისა და ორი ხელისუფლისა — გამსახურდია-შევარდნაძის პიროვნებებისა?**

9

22 დეკემბრიდან 28 დეკემბრამდე ვიმყოფებოდი სასტუმრო „თბილისში" და ღამესაც იქვე ვათევდი. 29 დეკემბრიდან გადავედი იმელის შენობაში და იქ ვიმყოფებოდი 3 იანვრამდე. შემდეგ, 9 იანვრამდე ვიმყოფებოდი საქტელერადიო დეპარტამენტის შენობაში, ხოლო შემდგომ მინისტრთა საბჭოს შენობაში. ღამეებსაც, შესაბამისად, ზემოაღნიშნულ შენობებში ვატარებდი. ორი ღამე (30 და 31 დეკემბერს) გავატარე იმელის შენობის სარდაფში, სადაც საველე ტიპის ჰოსპიტალი ფუნქციონირებდა. ორ ახალგაზრდა ქირურგს დიდი დატვირთვით უწევდა მუშაობა და მე მათ ვეხმარებოდი, ვაწვდიდი ქირურგიულ ინსტრუმენტებს, გადასახვევ მასალას და ა.შ. (მე ექიმის ოჯახში გავიზარდე და ამდენად „ლანცეტისა" და „პინცეტის" გარჩევა არ გამიჭირდებოდა). მსუბუქად დაჭრილების ჭრილობების დამუშავებას და გადახვევებს თავად ვაკეთებდი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 9 იანვრამდე საქტელერადიო დეპარტამენტის შენობაში ვიმყოფებოდი, ვაკომპლექტებდით დროებითი მთავრობის შემადგენლობას. მაგრამ ორი ღამის გათევა მომიხდა იმელის შენობაში; სი-ენ-ენი და ბიბისი იღებდნენ დოკუმენტურ ფილმს თბილისში მიმდინარე პროცესებზე. გადაღებებს აწარმოებდნენ სასტუმრო „ივერიასა" და იმელის შენობაში. მათი თხოვნით 3 და 4 იანვარს მეც ვმონაწილეობდი ამ გადაღებებში, რომელიც გვიან ღამემდე გრძელდებოდა და ამიტომ ღამეც იქ გავატარე.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში ორჯერ ვიყავი: 30 დეკემბერს და 2 იანვარს. ჩვენ მივიღეთ შეტყობინება, რომ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ზ.გამსახურდიას დავალებით დაჟინებით მოითხოვდნენ ოლქის სარდლობისაგან მათთვის დიდი რაოდენობით ჯავშანტექნიკის გადაცემას. ჩემი ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ის, რომ მათ ეს აქტი არ განეხორციელებინათ. შუამავლების როლს ასრულებდნენ პროფესორი ნოდარ ბოხუა და გენერალ-ლეიტენანტი ლევან შარაშენიძე. სამხედრო ოლქის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი პატრიკეევი შვებულებაში აღმოჩნდა და ჩვენ მიგვიღო მისმა პირველმა მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა გრეკოვმა. მან ორივე შეხვედრისას დაგვარწმუნა, რომ არავითარ შემთხვევაში ჯავშანტექნიკის გადაცემას ადგილი არ ექნებოდა. არავითარ ღამის გათევას იქ ადგილი არ ჰქონია.

10

— ის, რომ ორივე მხარეს საბრძოლო იარაღიც და ტყვია-წამალიც რუსეთის სამხედრო ნაწილებიდან ჰქონდა მიღებული, ამაზე ალბათ ორი აზრი არ უნდა არსებობდეს. მაგრამ ხდებოდა იგი ყიდვისა თუ გატაცების ფორმით, ამაზე მე ზუსტი ინფორმაცია არ გამაჩნია, რადგან სამხედროების საქმეში მე არ ვერეოდი. ჩემის აზრით, იარაღის ხელში ჩაგდების ორივე ფორმა გამოიყენებოდა.

1991 წლის ნოემბერში ხელისუფლების ძალებმა გაიტაცეს 10 ტანკი და ისინი შინაგანი ჯარების ტერიტორიაზე განალაგეს. თ.კიტოვანის გვარდიელებმა გელა გიორგაძის ხელმძღვანელობით ათივე ტანკი გამოიყვანეს წყობიდან (ამის თაობაზე ინფორმაცია იმჟამინდელ პრესაშია გაშუქებული). დეკემბრის დასაწყისში, შემოსული ინფორმაციის თანახმად, ხელისუფლებამ შეიძინა ორი მილიონი მანეთის იარაღი და ტყვია—წამალი,



რომელიც „კამაზის" ტიპის სატვირთო მანქანაზე დატვირთული, ინახებოდა მინისტრთა საბჭოს შენობის ეზოში. თ.კიტოვანის გვარდიელებმა, გ.ყარყარაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული ოპერაციის შედეგად მთელი ეს იარაღი თბილისის ზღვაზე ამოიტანეს. შემდეგ ჩატარდა ოპერაცია მარნეულში, სადაც გვარდიელებმა გ.გუგუშვილის ხელმძღვანელობით განაიარაღეს ხელისუფლების მომხრე გვარდიელები და იარაღი თბილისის ზღვაზე ამოიტანეს. თ.კიტოვანის გვარდიელებმა ხელში ჩაიგდეს აგრეთვე საკმაოდ დიდი რაოდენობით ტყვია—წამალი, რომელიც რუსეთის შინაგან ჯარებს საქართველოდან გასვლისას თან გაჰქონდათ.

11

— დიახ, ზ.გამსახურდიამ თავის თანმხლებ პირებთან ერთად მთავრობის სახლის ბუნკერი დატოვა 6 იანვარს გამთენიისას. გადაწყვეტილება მისი გაშვების შესახებ ჩვენს მიერ იქნა მიღებული და იგი სხვასთან არავისთან შეთანხმებულა. შეთანხმება მოხდა შემდგომ, სომხეთის ხელისუფლებასთან. 6 იანვარს 23 საათსა და 15 წუთზე ჩემს სახელზე მოვიდა შიფროგრამა ერევნიდან პრეზიდენტ ლ.ტერ-პეტროსიანის მოადგილის ა.მანუჩარიანის ხელმოწერით, რომლითაც ოფიციალურად გვატყობინებდნენ, რომ ზ.გამსახურდია და მისი თანხმლები პირები სომხეთში იმყოფებოდნენ და გვთხოვდნენ ჩვენს თანხმობას მათი იქ დატოვების თაობაზე. იმავე ღამეს ერევანში ბატონ ლ.ტერ-პეტროსიანის სახელზე გაიგზავნა საპასუხო ტელეფონოგრამა თანხმობის დადასტურებით.

12

— იარაღის ძალის გამოყენებით არც ერთი საკითხის გადაწყვეტა, მათ შორის პოლიტიკურისაც, მიუღებელია. იარაღის გამოყენება გამართლებულია მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას.

შეიძლებოდა თუ არა 22 დეკემბერს დაწყებული ტრაგედიის თავიდან აცილება? ორივე მხარის კეთილი ნების გამოხატვის შემთხვევაში, ეჭვი არ მეპარება, შეიძლებოდა. შეგახსენებთ, რომ 1991 წლის სექტემბერ-დეკემბერში ჩატარდა შეხვედრების სერია შექმნილი დაძაბული სიტუაციის განმუხტვის მიზნით (შეხვედრა ტელერადიო დეპარტამენტის შენობაში პატრიარქის ინიციატივით 1991 წლის სექტემბრის ბოლოს, რამოდენიმე შეხვედრა თბილისის ზღვაზე უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მონაწილეობით, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების და კონგრესმენების შეხვედრა ორივე მხარესთან, სტუდენტების ცნობილი შეხვედრა ზ.გამსახურდიასთან, ცალკეულ პირთა აქტიური მონაწილეობა ამ პროცესში. მაგალითად, კინორეჟისორ გიორგი შენგელაიას, სამხედროების ავთანდილ ცქიტიშვილისა და თამაზ დუმბაძის. შესანიშნავი პიროვნების კახა გველესიანის შეხვედრები პრეზიდენტთან. უმეტესობა ამ შეხვედრებისა ვიდეოფირზეა აღბეჭდილი). მნიშვნელოვან საშუამავლო მისიას ასრულებდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რომან გვენცაძე.

ოპოზიციის ძირითად მოთხოვნებს შეადგენდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა, ინფორმაციის საშუალებებისათვის თავისუფლების მინიჭება, პოლიტპატიმართა განთავისუფლება. ყველა ზემოთჩამოთვლილი შეხვედრები პრაქტიკულად უშედეგოდ მთავრდებოდა.

1991 წლის შემოდგომაზე პოლიტიკური სიტუაციის ანალიზი იძლეოდა პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას, რომლის თანახმად 1992 წლის მარტში ან აპრილში დაძაბულობა კულმინაციას მიაღწევდა და ხელისუფლება იძულებული გახდებოდა წასულიყო დათმობებზე და ოპოზიციის მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი შეესრულებინა. იქმნებოდა საკმაოდ მძიმე საგარეო პოლიტიკური ფონიც. მაშინ, როდესაც ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარების, მათი საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების პროცესები აქტიურად მიმდინარეობდა, ჩვენ პრაქტიკულად იზოლაციაში აღმოვჩნდით. ალბათ, გახსოვთ აშშ-ს პრეზიდენტის ჯ.ბუშის, გამონათქვამი: „საქართველოს პრეზიდენტი ღირებების საწინააღმდეგოდ მიცურავსო". ეს პრაქტიკულად იყო სიგნალი დასავლეთის სამყაროსათვის ჩვენთან ურთიერთობის დამყარებაზე თავის შეკავების თაობაზე. 1991 წელს აშშ-ს კონგრესი ამტკიცებს საბჭოთა რესპუბლიკებისათვის დახმარების გაწევის პროგრამას (გამოიყო 4,6 მილიარდი აშშ დოლარი); ამ პროგრამის თანდართულ ნუსხაში საქართველო და აზერბაიჯანი არ ფიგურირებენ. იმავე წლის ნოემბერში აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯ.ბეიკერი აკეთებს განცხადებას იმის თაობაზე, რომ ამის მთავარი მიზეზია ამ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა დაცვის დაბალი დონე. შემოდგომაზე იმართება საერთაშორისო კონგრესი თემაზე: „თანამედროვე სამყარო და ადამიანის განზომილება", საქართველოს დელეგაციას უარს ეუბნებიან აღნიშნულ კონგრესში მონაწილეობის მიღებაზე.

აქვე მინდა შეგახსენოთ თ.კიტოვანის არაერთი განცხადება ეროვნული გვარდიის სახელით, რომ გვარდია დადგებოდა იმ ძალების მხარეს, ვის წინააღმდეგაც პირველად იქნებოდა გამოყენებული იარაღი. სექტემბრის ბოლოს, ეკლესიის შუამავლობით მიღწეული შეთანხმების შესაბამისად ეროვნული გვარდია 3 ოქტომბერს გადის თბილისიდან და დაბანაკდა თბილისის ზღვის მიდამოებში. მეორე დილით (4 ოქტომბერს), გვარდიის დისლოცირების ადგილი მთლიანად ალყაშემორტყმულია ხელისუფლების ძალების მიერ. დილით იწყება შეტევა, რომელიც ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. დაიღუპა ორი და დაიჭრა რამოდენიმე ადამიანი. შეტევა უკუგდებულ იქნა და დაიწყო მოლაპარაკება. იმავე საღამოს, გვარდიაზე მიტანილი თავდასხმის პროტესტის ნიშნად, ოპოზიცია აწყობს მძლავრ გამოსვლას. რუსთაველის პროსპექტზე (სამხატვრო გალერეისა და სასტუმრო „თბილისის" მიდამოებში) დაპირისპირება კულმინაციას აღწევს. მთავრობის სახლიდან გაიხსნა ცეცხლი ოპოზიციის მიმართულებით: დაიღუპა ერთი და დაიჭრა რამოდენიმე ადამიანი. თბილისის ზღვაზე გამუდმებით ამოდიან „მალემსრბოლები" და დაჟინებით მოითხოვენ თ.კიტოვანისგან გვარდიის თბილისში ჩაყვანას. იგი უარს ამბობს ამ ნაბიჯის გადადგმაზე, რადგან ეს დიდ სისხლისღვრასთან იქნებოდა დაკავშირებული. ჯერ კიდევ არის მოლაპარაკებების გაგრძელების რეალური შანსი.

ხშირად სვამენ საკითხს: ხომ არ იყო პროვოცირებული 22 დეკემბერს ცეცხლის გახსნა მთავრობის სახლიდან სხვა ძალების მიერ? ამ ვერსიის უგულებელყოფა ალბათ არ შეიძლება,

გაგრძელება მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შევარდნაძემ თავად აიფეთქა საკუთარი თავი



**კი,** ვერ დავმალავთ, სათაურად გამოტანილ ამ სიტყვებში არის ერთგვარი საგაზეთო ინტრიგაც. მაგრამ არის სიმართლეც, ოღონდ არა იმ მნიშვნელობით, როგორი ხმებიც მართლა დადიოდა და დადის ქალაქში, არამედ სხვა თვალსაზრისით.

ხმები კი მოგეხსენებათ, ასეთი გავრცელდა 29 აგვისტოს ტერაქტის დღესვე — როგორ, ასეთი მძლავრი აფეთქება და ადამიანის მხოლოდ მსუბუქად დაზიანება?

თუ ეს აფეთქება „ჩაწყობილი“ და „მატყუარა“ ბომბით არ იყო მომხდარი, რომელიც მხოლოდ ხმით არის ძლიერი და არა დამანგრეველი ძალით, განა შეიძლებოდა ძეხორციელის გადარჩენა?

მოკლედ, საზოგადოება დღემდე ეჭვშია ჩავარდნილი, თუმცა, გონიერი კაცისათვის საეჭვო იმთავითვე არაფერი იყო. იმ აფეთქების ადგილზე ჩვენ წუთნახევარიც არ იქნებოდა გასული, რომ მივედით და რაც იქ საშინელება ტრიალებდა, არა მგონია, მისი ჩაწყობა საკუთარი თავის წინააღმდეგ ვისმეს მოფიქრებოდა...

აფეთქება, ამას ახლა ძიებაც დადასტურებულად ამბობს, „მხედრიონის“ წევრებსა და უშიშროების კომიტეტს განუხორციელებია. უშუალოდ კი, როგორც ქვემორე ჩვენებიდან ჩანს, პულტზე თითი გიგა გელაშვილს, მაშველთა კორპუსის უფროსს დაუჭერია. ვინ იყო „მხედრიონი“? ვინ იყო გიგა გელაშვილი? „მხედრიონი“ შევარდნაძის დასაყრდენი ძალა გახლდათ. გიგა გელაშვილს კი სახელმწიფოს მეთაური შვილივით საყვარელს ეძახდა, ანუ ის ძალა და თავხედობა, რითაც ტერაქტის შემსრულებელნი და დამკვეთნი საზოგადოებას შიშის ზარს სცემდნენ, შევარდნაძის მფარველობით ჰქონდათ მათ შეძენილი. გია ჭანტურიას მკვლელობისას რომ არავინ დაისაჯა (პირიქით, გიორგაძე გენერლობით დაჯილდოვდა), გია გულუს მკვლელებს რომ სულ სხვაგან ეძებდნენ, გია ყარყარაშვილისა და პაატა დათუაშვილის წინააღმდეგ ტერაქტმაც რომ უკვალოდ ჩაიარა, სოლიკო ხაბეიშვილის სისხლიც რომ უბრალოდ დაიღვარა, სწორედ ამან გამოიწვია ის, რამაც სახელმწიფოს პირველი პირის სიცოცხლის ხელყოფაც გაუბედვინა ტერორისტებს. ანუ შევარდნაძის აფეთქება შევარდნაძისავე „შვილიშვილების“ კისერზეა. სწორედ ამ აზრით ვამბობთ: შევარდნაძემ თავად აიფეთქა საკუთარი თავი. ამ სიტყვების გამო იგი შესაძლოა ახლა ჩვენზე გალიზიანდეს, მაგრამ სიმართლე ზოგჯერ მწარეა...

## გიგამ მისი დანახვისთანავე სასწრაფოდ ჩამოსწია «ბარდაჩოკი» და თითი დააჭირა ღილაკს...

### ავთანდილ გოგოტიშვილის დაკითხვის ოქმიდან

ავთანდილ გოგოტიშვილმა — დაბადებულმა 1968 წელს თბილისში, „უშიშროების სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმ „ომეგას“ ერთ-ერთი ჯგუფის უფროსმა, სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტი გამოყენებით სხვებთან ერთად შეთანხმებით განზრახ ჩაიდინა სამშობლოს ღალატი ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით.

იგი 1993 წლიდან იყო უშიშროების სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმ „ომეგას“ წევრი, რომლის ფუნქციებში შედიოდა მძევალთა განთავისუფლება, დამნაშავეთა დაკავება და განიარაღება, მათი გადაცემა შესაბამისი სამართალდამცავი სამსახურებისათვის. 1995 წლის 13 იანვარს მონაწილეობდა თენგიზ კიტოვანისა და სხვათა მიერ შექმნილი უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრთა დაკავება-განიარაღებაში. ამ ოპერაციის დროს მიითვისა ჩამორთმეული ავტომატი „აკს“, საბრძოლო ხელყუმბარა და 20 ცალი ვაზნა. შემდგომში აგრეთვე უკანონოდ ინახავდა ავტომატს, „ზიგ-ზაუერის“ სისტემის პისტოლეტს, საბრძოლო მასალას და ფეთქებად ნივთიერებებს, რომლებიც დაკავებისას თან აღმოაჩნდა. ავთ. გოგიტიშვილს წარდგენილი აქვს ბრალდება შემდეგი მუხლებით: სსკ 94-ე მუხლის პირველი ნაწილით, 238-ე მუხლის პირველი, მეორე და მეოთხე ნაწილით, 240-ე მუხლის პირველი ნაწილით, 65-ე მუხლით, 78-ე მუხლით, 17 და 67-ე მუხლის მეოთხე ნაწილით



1995 წელს, დაახლოებით ერთი თვით ადრე 29 აგვისტომდე, მე მისული ვიყავი ვაკეში, ბარში... იქ მისვლისას დამხვდნენ ნიკა კვეზერელი, თემურ ხაჩიშვილი და ლევან ზაქარეიშვილი. ისინი მაგიდას უსხდნენ, ყავასა და წვენებს სვამდნენ. მცირე ხნის ჩვეულებრივი საუბრის შემდეგ ნიკამ მითხრა, რალაც საქმე აქვთო. მე თემურ ხაჩიშვილს ვკითხე, რაშია მეთქი საქმე. მან მიპასუხა: „კომანდორმა იცისო“. კომანდორს იგორ გიორგაძეს ვეძახდით. თემურ ხაჩიშვილმა მითხრა, რომ „ალფას“ ბაზაზე უნდა მენახა გურამ პაპუკაშვილი და დაწვრილებით ის მეტყოდა ყველაფერს. მეორე დღეს ავედი „ალფას“ ბაზაზე. მე მას არ ვიცნობდი და მოვიკითხე. ვუთხარი, ხაჩიკამ გამომაგზავნა მეთქი. „ხაჩიკას“ თემურ ხაჩიშვილს ვეძახდით... შევყევი გურამ პაპუკაშვილს. მან შემიყვანა შენობაში და ავედით მესამე სართულზე... მან გვერდით ოთახიდან გამოიტანა „მინის“ სისტემის ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც იყო მწვანე ფერის მიწაში ჩასარჭობი. გურამმა ამიხსნა, რომ ეს მოწყობილობა იყო ბომბი „მინ 50“. იგი იყო ოთხკუთხა და ოვალური, შუაში შეზნექილი ფორმით... მაჩვენა, თუ როგორ უნდა დამდგარიყო ბომბი მიზნისკენ. ამის მერე გურამმა მითხრა, რომ მერე დამიკავშირდებოდა. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ რაციით დამიკავშირდა გურამ პაპუკაშვილი და მითხრა, „ალფას“ ბაზაზე ამოდიო. ავედით. მესამე სართულზე, სადაც ადრე ვიყავით, გამოვიტანეთ ორი ბრეზენტის ჩანთით რაღაც მძიმე საგნები ჩავალაგეთ იქვე შენობასთან მდგარ თეთრი ფერის ნივაში. მანამდე გურამს ნათქვამი ჰქონდა, რომ დაგვჭირდებოდა გარაჟი. შევთავაზე „ნივა“ ჩემი მეგობრის გარაჟში დაგვეყენებინა... რამდენიმე დღეში „ომეგის“ ბაზაზე კვლავ დამიკავშირდა გურამი და მითხრა შევხვდეთო. ავედით გარაჟში, სადაც გურამმა მუშაობა დაიწყო. მან „ნივას“ მარჯვენა მხარეს მოხსნა „აბივკები“ და ჩაამონტაჟა „მონის“ ტიპის ბომბები. მგონი 5 ცალი... სულ მოვუნდით სამ დღეს. მე ვეხმარებოდი, კერძოდ, ვაწვდიდი საჭირო საგნებს... 29 აგვისტოს ავედი ნუცუბიძის პლატოზე გარაჟში, სადაც „ნივა“ ეყენა. ამ დროს დაახლოებით იქნებოდა 15 საათი. გამოვიყვანე მანქანა და წავედი დანიშნულ ადგილზე რესტორან „არაგვთან“. შემდეგ მოვიდა წითელი „09“-ით ლევან ზაქარეიშვილი. მას ახლდა მამუკა ბარბაქაძე. ლევანმა მომცა მიმღებები. შემდეგ მე „ნივაში“ ნალმებს შევუერთე მიმღები პულტები. ანტენები მიმღებ პულტზე დამონტაჟებული და მზა მდგომარეობაში იყო. როგორც ვიცოდი და ვგრძნობდი „ნივა“ პარლამენტის ეზოსკენ წავიდა. შემდეგ მოვიდა გიგა გელაშვილი. მითხრა ჩავმჯდარიყავი მის ავტომანქანაში. მივედით პარლამენტის ეზოსთან ფოსტა-ტელეგრაფის მხრიდან... იქნებოდა 17სთ და 30 წუთი. ჩვენ მანქანა გავაჩერეთ პარლამენტის შენობის კუთხესთან ახლოს. გიგამ მანქანა ჩააქრო და პარლამენტის ეზოში შევიდა. 30 წუთის შემდეგ დავინახე ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა.

მანქანისკენ მიმავალმა ნახა ნაცნობი, რომელიც, ჩემი აზრით, ან მსახიობი იყო, ან დეპუტატი, რადგან ძალიან ნაცნობი სახე ჰქონდა. მასთან მისალმების შემდეგ გიგა დაჯდა „07“-ში და მითხრა, ეხლა 10—15 წუთში გამოდიან და შენი ადგილიდან „ნივას“ ხედავო? მე ვუთხარი, ვინ გამოდის და რა ნივას ვხედავ-მეთქი, რაზეც მან მითხრა: „ნივა“ შიგნით დგასო, თან დამანახა. ასევე მითხრა შავი ფერის ვოლგა „31“ რომ გამოვა, ბარდაჩოკში დევს პულტი და თითი დააჭირე ღილაკსო... მე იმ წუთშივე მივხვდი, რომ „ნივა“ ე.შევარდნაძის ასაფეთქებლად იყო პარლამენტის ეზოში შეყვანილი და გიგას ვუთხარი, რომ პულტს თითს არ დავაჭერდი. მას ჩემთვის არაფერი უთქვამს. სწრაფად დაძრა „07“ და უნდოდა მობრუნება, მაგრამ მოსაბრუნებელი ადგილი არ იყო. ამიტომ მანქანა კვლავ უკან დახია და დაძრა პარლამენტის ეზოსკენ. მაღალი გაზის მიცემით ნიშანი მისცა ჭიშკართან მდგომ დაცვის ბიჭებს. შევიდა ეზოში,მოაბრუნა იქვე ავტომანქანა და კვლავ გარეთ გამოვიდა. როცა კავშირგაბმულობის შენობის კუთხეს გაუსწორდა, უცებ ისევ პარლამენტის ეზოსკენ შემოაბრუნა მანქანა და გააჩერა იგი პარლამენტის შენობის კუთხიდან 5-6 მ დაშორებით. მანქანის გაჩერებისთანავე დავინახე, როგორ გამოვიდა პატარა ეზოდან ე.შევარდნაძის შავი ფერის „გაზ-31“. გიგამ მისი დანახვისთანავე გადმოიწია ჩემსკენ, სასწრაფოდ ჩამოსწია „ბარდაჩოკი“ და თითი დააჭირა ღილაკს. გაისმა ძალიან ძლიერი აფეთქების ხმა. იმ ადგილზე, სადაც ნივა იდგა, ავარდა შავი კვამლი. პარლამენტისა და ფოსტის შენობებიდან დაიწყო მინების ჩამოცვენა, პანიკამ მოიცვა იქვე მყოფი ხალხი. ამის დანახვაზე მე თავში ხელები ვიტაცე სინანულისა და გაოცების ნიშნად. ამასობაში გიგამ სწრაფად მოაბრუნა მანქანა... მივედით გიგა გელაშვილის საცხოვრებელ სახლში, რომელიც მდებარეობს მაღაზია „პუმას“ თავზე. ავედით მესამე სართულზე. გზაზე გიგამ თქვა: „მე მგონი მოხვდაო“. ასვლისას გიგას პულტი მივეცი, მაგრამ სად შეინახა, ამის თქმა არ შემიძლია. მე პერანგი გამოვიცვალე და სწრაფად დავტოვე იქაურობა. ბაზაზე როცა ავედი, თითქმის მთელი შემადგენლობა იქ იყო და იცმევდა. მეც სხვებთან ერთად მოვირგე აღჭურვილობა, ჩავჯექით ავტობუსში და გავედით პარლამენტის შენობასთან. შემდეგ მოვიდა ჩვენი უფროსი გოგოლაძე, რომელმაც გვიბრძანა წავსულიყავით რესპუბლიკურ საავადმყოფოში ე.შევარდნაძის დასაცავად. ჩვენ არც საავადმყოფოსთან გავჩერებულვართ დიდხანს, მივიღეთ ბრძანება კვლავ ბაზაზე ავსულიყავით და მთელი შემადგენლობით ახალ ბრძანებას დაველოდებოდით... იმ დღის მერე მე აღარ შევხვედრივარ გიგა გელაშვილს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 17 მწარე შეკითხვა და თენგიზ სიგუას პასუხები

მეორე გვერდიდან

მისი დეტალური შესწავლაა საჭირო.

დეკემბერ-იანვრის მოვლენები, ჩემის აზრით, უნდა შეფასდეს როგორც ეროვნული ტრაგედია, და როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, მან ერისათვის სასიკეთო შედეგები ვერ გამოიღო.

13

— მე-5 კითხვაზე პასუხის გაცემისას მე საკმაოდ დაწვრილებით მოგახსენეთ ზ.გამსახურდიასთან უთანხმოების ძირითადი მიზეზების თაობაზე. აქ მინდა აღვნიშნო, რომ იგი უდაოდ ეროვნულ ნიადაგზე მყარად მდგარი პიროვნება იყო და ის საბედისწერო შეცდომები, რომელიც მას მოსდიოდა, ჩემის აზრით, მისი გარემოცვის ზეწოლის შედეგი იყო.

რაც შეეხება ე.შევარდნაძეს, იგი ბუნებით კოსმოპოლიტია და ეროვნული საკითხები მისთვის წინა პლანზე არასოდეს მდგარა. მე მეჩვენება, რომ მისი 80-იანი წლების ლოზუნგი „გადავაქციოთ საქართველო ხალხთა მეგობრობის ლაბორატორიად", დღესაც ძალაშია (თავისთავად პარადოქსულია სახელმწიფოს „საცდელ ლაბორატორიად" გადაქცევის საკითხის დასმა).

პოლიტიკის ხელოვნება პროგნოზირების ხელოვნება გახლავთ. აქ იგულისხმება შექმნილი სიტუაციის სწორად გაანალიზების უნარი, ზუსტი დასკვნების გაკეთება და მათ საფუძველზე მოვლენათა განვითარების მოდელის შექმნა. ეს მოდელი ხდება შემდგომში პოლიტიკური კურსის საფუძველი. ამ სქემაში მნიშვნელოვანი სტრატეგიული შეცდომების დაშვება დამღუპველია. ჩემის აზრით, საქართველოში დაბრუნების შემდეგ ე.შევარდნაძემ არა ერთი ასეთი შეცდომა დაუშვა (საქართველოს თანამეგობრობაში შეყვანა, აფხაზეთის კონფლიქტი, არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საკადრო პოლიტიკა და ა.შ.)

საქართველოში დაბრუნებისას იგი კატეგორიულად აცხადებდა, რომ ქვეყნის „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში" გაერთიანების პერსპექტივა არ არსებობს. ჩვენი და უცხოეთის ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუებში ე.შევარდნაძე არაერთხელ აცხადებდა, რომ „მე არ მჯერა ამ გაერთიანების პერსპექტიულობისა", „ამ გაერთიანებას მომავალი არა აქვს", „იგი ამორფული გაერთიანებაა" და ა.შ. მაშინაც და მითუმეტეს დღეს ბევრისთვის სავსებით ნათელია, რომ აღნიშნული თანამეგობრობა რუსეთს სჭირდებოდა თავისი სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის, კერძოდ, იმპერიის მოდერნიზაციისათვის.

არასწორი სტრატეგიიდან გამომდინარე, ბევრი ტაქტიკური შეცდომა იქნა დაშვებული აფხაზეთის ომის განმავლობაში. დღეს იგი ცდილობს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა, აცხადებს, რომ ომი მას არ დაუწყია, აქტიურად მიმდინარეობს „მეისრეების" ძიების პროცესი. მაგრამ ხომ არსებობს უამრავი ფაქტიური მასალა, დოკუმენტები, რომლებიც საპირისპიროზე მეტყველებენ. გავიხსენოთ თუნდაც ორსაათიანი „თეორიული დასაბუთება", რომლითაც ე.შევარდნაძე გამოვიდა პარლამენტის სხდომაზე 1992 წლის დეკემბერში (ეს მოხსენება ბროშურის სახითაა გამოცემული).

საერთოდ კი ეს ცალკე დიდი საუბრის თემაა, და ერთ პასუხში მისი მოთავსება ალბათ შეუძლებელია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# 29 საჭირბოროტო შეკითხვა თენგიზ კიტოვანს

**ბატონო თენგიზ,** ბოდიშს გიხდით, რომ თქვენს მდგომარეობაში მყოფ კაცს განუხებთ ზედმეტი პრობლემებით. საქმე ისაა, რომ ჩვენმა გაზეთმა წამოიწყო ახალი რუბრიკა — ვინ იყო ვინ? — მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის. ეს რუბრიკა თქვენით დავიწყეთ, გაახლებთ გაზეთებსაც, სადაც თქვენზე გამოქვეყნდა მასალები. სასურველია, თუ იმ პუბლიკაციებს, რაც თქვენზე დაისტამბა, გამოეხმაურებით, რათა სურათი წარსული მოვლენებისა უფრო სრულყოფილად დარჩეს ჩვენს მომავალს.

ამასთან გთავაზობთ რამდენიმე კითხვას. წინასწარ გიხდით მადლობას ჩვენს გაზეთთან თანამშრომლობისათვის.

**პატივისცემით გაზეთ „საქართველოს" რედაქციის კოლექტივი**



1974 წელი.
თ. კიტოვანი პირველი პატიმრობის დროს

**P.S. გაზეთი უკვე დასაბეჭდად მზად გვქონდა, როდესაც ბატონმა თენგიზ კიტოვანმა ციხის საავადმყოფოდან ოპერატიულად გამოგვიგზავნა ქვემოთწარმოდგენილ კითხვათა პასუხები, რომელთაც შემოგთავაზებთ ჩვენი გაზეთის ხუთშაბათის ნომერში.**

1. რამ განაპირობა კონფლიქტი მამათქვენს, ბატონ შოთა კიტოვანსა და იმჟამად შინაგან საქმეთა მინისტრ ე.შევარდნაძეს შორის?

2. ბევრი დაიწერა იმ ავარიის შესახებ, რომლის გამოც თქვენ პირველად დაგაპატიმრეს, მაგრამ იქნებ დეტალურად აღწეროთ, რა მოხდა სინამდვილეში და ადეკვატური იყო თუ არა სასჯელი დანაშაულისა?

3. თქვენი პატიმრობის ხანა. სად მოიხადეთ სასჯელი. რას გაიხსენებდით იმ პერიოდიდან კურიოზების ჩათვლით?

4. გვიამბეთ შემდგომი საქმიანობის შესახებ.

5. როგორ მოხვდით ეროვნულ მოძრაობაში. თქვენი კონტაქტები ზვიად გამსახურდიასთან საიდან იწყება. შემდგომში რის გამო განუდექით? გვიამბეთ პირადი და საზოგადოებრივი მოტივების შესახებ.

6. დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ სამხედრო გადატრიალება კრემლის სცენარით მოხდა. როგორი იქნება თქვენი პასუხი ამასთან დაკავშირებით? იჯდა თუ არა ამ სცენარში თქვენი კონტაქტები ბეპაევთან?

7. რატომ მოიხსნენ თავისუფლების მოედანზე მდგარი ვ.ადამიას მებრძოლები პოზიციებიდან?

8. აკაკი ასათიანი წერს, რომ თქვენ რკონში გასვლის შემდეგ, როცა იგი შეგხვდათ, ითხოვეთ თავდაცვის მინისტრობა. ეს სურვილი რომ დაეკმაყოფილებინათ, მოხდებოდა თუ არა გადატრიალება და, საერთოდ, რამდენად მართალია ეს?

9. ზ.გამსახურდია გაუშვით 6 იანვარს თუ... რა მოხდა სინამდვილეში იმ დროს?

10. დღემდე გამოუძიებელია გოჩა ჯიქიას მკვლელობა, რომელიც დედის თვალწინ ზუგდიდში დახვრიტეს, სრულიად უდანაშაულოდ. ადრე ამბობდნენ, რომ ჯიქიას მკვლელს თქვენ იფარავდით. ეს ვერსია არ ჩანს სწორი თუნდაც იმიტომ, რომ თქვენ მას ვეღარ დაიცავთ გასაგები მიზეზის გამო, არადა მკვლელი კვლავ გარეთ არის. რა იცით ამ საქმის შესახებ?

11. აფხაზეთში ომის დაწყებას მთლიანად თქვენ გაბრალებენ უმაღლეს ეშელონებში. რა და როგორ იყო სინამდვილეში?

12. ომის ბოლო დღეებში თქვენ საპატიო სარდლად დაგნიშნათ შევარდნაძემ, რატომ გააკეთა ეს?

13. რა მიზნით დაუტოვეს ქობალიას „შესარემონტებლად" ტანკები?

14. თუ ყარყარაშვილმა მოახერხა სოხუმიდან გამოსვლა და ჯარის ნაწილის გადაყვანა კოდორზე, რატომ ვერ მოხერხდა ეს სამთავრობო ან ქობალიას ჯარისაგან, რათა სოხუმი გადარჩენილიყო?

15. ომის დაწყების დროს თურმე სამი დღე გეძებდნენ და ბოლოს წყალტუბოში მოქეიფეს მოგაგნეს. რას იტყვით ამაზე?

16. ბრალად გდებენ, რომ სოხუმში იშვიათად ჩადიოდით. რატომ წარმოიშვა ეს აზრი?

17. რას იტყვით ჟურნალისტ ბოლქვაძის მკვლელობის შესახებ, რომელიც ქობალიას ბრალდება?

18, რატომ დატოვა სოხუმის დაცემის შემდეგ ოჩამჩირე, გალი უბრძოლველად ჯარმა?

19. ომის დასაწყისში რატომ გაჩერდით სოხუმში, რაშიც ბრალი გენერალურმა პროკურორმა თქვენ დაგდოთ?

20. არმია იღებდა დასახლებულ პუნქტებს და ბრძანებით შემდეგ უკან იხევდა. ვისგან მოდიოდა ასეთი ბრძანებები და კონკრეტულ მაგალითს ხომ ვერ გვეტყვით?

21. რას იტყვით თვითმფრინავების გაყიდვის ბრალდებაზე, რომელიც სამხედრო პროკურორმა პრესითაც დააფიქსირა?

22. ხომ არ აქვს ციხეში თქვენზე ფიზიკური ზემოქმედების ფაქტებს ადგილი?

23. რატომ არ გამოდიოდით კაბინეტიდან თქვენი გადადგომის შემდეგ?

24. თქვენი და ჯ.იოსელიანის ურთიერთობაზე რას გვეტყვით? გამოხატა თუ არა პროტესტი ჯ.იოსელიანმა თქვენი დაპატიმრების გამო? გჯერათ თუ არა რომ 29 აგვისტოს ტერაქტი ი.გიორგაძისა და ჯ.იოსელიანის დაგეგმილი იყო?

25. თქვენი დაპატიმრების მიზეზად იქცა აფხაზეთისკენ მებრძოლების წაყვანა. აყვანის ოპერაცია ჩაატარა ი.გიორგაძემ. რა და როგორ იყო სინამდვილეში. მაღალ ეშელონებში ვინ იცოდა თქვენი განზრახვის შესახებ?

26. როგორ გადაწყდა შევარდნაძის ჩამოყვანა?

27. გაქვთ თუ არა შურისძიების გრძნობა თქვენი დამპატიმრებლების მიმართ?

28. რა მიგაჩნიათ დაშვებულ შეცდომებად?

29. რას ისურვებდით თქვენთვის და საქართველოსთვის ციხის საკნიდან?



1996 წელი.
თ. კიტოვანი, ციხის საავადმყოფო

# აბიტურიენტებისა და მე-11 კლასელთათვის

განხილვა

# ნიკო ლორთქიფანიძის «თავსაფრიანი დედაკაცი»

(დასაწყისი იხ. ,,საქართველო“ №17)

ნოდარ ბრიგალაშვილი

## სათაურის სიმბოლიკა

ნუთუ ყველაფერში სიმბოლოს ძიება შეიძლება? „თავსაფრიანი დედაკაცი“, — ეს რაღა სიმბოლური სათაურია და რა ძიება აგიტყდათო, იკითხავს დაეჭვებული მკითხველი. ერთი შეხედვით, მართლაც, ყველაფერი ნათელია. თავსაფრიანი დედაკაცი არის ქალი, რომელსაც თავსაფარი ჰბურავს. არც მეტი და არც ნაკლები. ცხადია ეს ასეა. მაგრამ მივაქციოთ ყურადღება შემდეგ გარემოებას:

1) ნოველის მთავარ გმირს, მოხუც დედაკაცს სახელით არ იხსენიებს მწერალი.

2) გმირის ეპითეტად გამოყენებულია არა მისი სულიერი პორტრეტის მახასიათებელი სიტყვები, ვთქვათ, „კეთილშობილი“ ან „დიდბუნებოვანი“, რაც უფრო გამოჰკვეთდა გმირის ხასიათს, ან გმირის ეპითეტად მოხმობილია არა მისი მდგომარეობის გამომხატველი სიტყვები, ვთქვათ, „ქვრივი“ ან „შაოსანი“, არამედ, ერთი შეხედვით, „არაფრისმთქმელი“ ეპითეტი „თავსაფრიანი“.

რომ არა ერთი ფაქტი, სიტყვა „თავსაფრიანი“ სრულიად არაარსებითი მსაზღვრელი იქნებოდა ნოველის გმირის პორტრეტის გადმოსაცემად. ეს ფაქტი კი გულისხმობს შემდეგს: ქართველი კაცის შემეცნებაში „თავსაფრიანი“, ისე როგორც “თავზე ქუდის დამხურავი“, უფრო მეტი შინაარსის მომცველია, ვიდრე იგი ვიზუალურად წარმოგვიდგება.

უქუდობა მამაკაცისთვის, ხოლო უმანდილობა ქალისთვის დიდ სირცხვილად იყო მიჩნეული.

გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნიდან“ როსტევანისა და ავთანდილის ნიძლავი:

„ვინცა იყოს უარესი, თავშიშველი სამ დღეს ვლიდეს“.

თავშიშველი მამაკაცის ხალხში გამოჩენა მისთვის შერცხვენა და თავის მოჭრა იყო, რადგან ქუდი გახლდათ ნამუსის სიმბოლო.

ასევე მანდილი, თავსაფარი, ლეჩაქი სიმბოლო იყო დედაკაცის პატიოსნებისა.

„მაშინ წამოიყვანეს და მოჰყვანდა წმინდა შუშანიკ უხამური და თმა-გარდატევებული, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი“, — ვკითხულობთ ჩვენი ლიტერატურის პირველსავე ძეგლში, — „და ვერავინ იკადრა თავსა მისსა დაბურვად, რამეთუ პიტიახში იგი მხედრ შეუდგა უკვანა კვალსა მისსა და აგინებდა მას მრავლითა გინებითა“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სათაური, — „თავსაფრიანი დედაკაცი“ გულისხმობს სინდის-ნამუსით, პატიოსნებით, კდემით, ღირსებებით აღჭურვილ მანდილოსანს. ქალს, რომელიც ერთი უკანასკნელი მოჰიკანთაგანია ძველ, „ტკბილ-სახსოვარ“ დედათა გალერეიდან.

თავსაფრიანი დადაკაცის ტრაგედიის ერთი მიზეზთაგანი ისიც არის, რომ ახალ დროში ძველ ღირსებებს ყადრი გასვლია.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ნოველის ძირითადი ტექსტის პირველი და უკანასკნელი აბზაცები:

„ყველაფერი ჩატარდა ძველებურათ, სულ ძველებურათ, ისე როგორც ჩვენში წინათ ხდებოდა ყველგან, სადაც კი ჯვარს იწერდნენ, ორმოცი წლის წინათ ხდებოდა ხშირათ, 20 წლის წინათ ზოგჯერ, 10 წლის წინათ იშვიათად და ეხლა კი შეუძლებელია“.

კონკრეტული რიტუალი, რაც წინათ ხდებოდა ყველგან — დღეს შეუძლებელია. მაშასადამე, ახალ დროში რაღაც მკაფიოდ შეცვლილა. ახალი დრო ძველს აღარ ჰგავს, ავტორს სურს, რომ ამ მომენტს გაუსვას ხაზი.

თავსაფრიანი დედაკაცი, ანუ ის, რისი განსახიერებაც არის ეს ქალი, სინდისი და პატიოსნება, ახალ, „განათლებულ“ დროში აღარავისთვისაა საჭირო. თავსაფრიანი დედაკაცი ახალ დროში ჟღერს როგორც ძველი ქართველი დედაკაცი ახალი დროისთვის უცხო, ამ წუთისოფელს გარად შემორჩენილი. დროისმიერი კავშირის ამ უცნაურ ცვალებადობას ხაზი აქვს გასმული ნოველის ფინალშიც. დედის გადაკარგვასთან დაკავშირებით ყველაზე უფრო განათლებული და თან ყველაზე უფრო ტუტუცი შვილი ზოგჯერ ბრძნულად შენიშნავს: “მოხუცებისაგან ზოგიერთს გამოელევა მოსაზრების უნარი და მოქმედებს შეუგნებლად, გაჰყვება გზას და მიდის და მიდის... ამას ჩვენში „მხარის შეცვლას“ უძახიან, მეცნიერებმა კი „მანიაკალური მდგომარეობა“ უწოდეს“.

უბედურება ის არის, რომ უზნეობის გარემოცვაში მოხვედრილი ზნეობა ხმელეთზე ამოგდებული თევზივით სულს ლაფავს და მართლაც „მხარშეცვლილი“, მართლა „მანიაკალურ მდგომარეობაშია“.

## „დედა არ გვახსოვს შვილებსა“

„თავსაფრიანი დედაკაცის“ წაკითხვის შემდეგ აღძრული ტკივილი, შეიძლებოდა გამოგვეხატა ცნობილი ლექსის ორიოდე სტრიქონით —

„დედას ვუყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა“.

ეს საოცრად პარადოქსული სიტუაცია იმავდროულად ცხოვრების ბუნებრივ, ჩვეულებრივ წესადაც ქცეულა, რის გამოც „წუთისოფელი სულ მუდამ გვაცოდვილებსა“, — თავსაფრიანი დედაკაცის შვილებს ისეთივე დამოკიდებულება ელით მათივე შვილებისაგან, როგორსაც თვით იჩენენ დედისადმი. ამ დამოკიდებულებას კი საშინელი სახელი — უმადურობა ჰქვია.

ქალის დაქვრივების შემდეგ „იმატა ობლების მტერმა, იკლო მოყვარემ, და იგი დადის

პოლიციაში,
სასამართლოში,
მეზობლებთან,
მამასახლისთან,
თავმდაბალი,
საჩივრით,
მუდარით,
ისე, რომ ვერ აჩერებს კედელი.
მარკა,
სიშორე, —

გადაიფრენს, იშოვის, გადაივლის, გაცურავს, მიიფრენს, თავისას კი მიაღწევს:
ბავშვებს სამართალს მოუნახავს.

დახმარებას გამოითხოვს,
მაგრამ ოჯახს არ უმტყუნებს,
კერიას არ გააცივებს.
ბევრი ეარშიყებოდა... შორიდან
მაჭანკლებიც მიუგზავნეს.
— „როგორ უმტყუნო ობლებს?!“

ამ სიტყვებს აღარ სჭირდება კომენტარი და მაინც, მიაქციეთ ყურადღება უკანასკნელ ფრაზას, — „როგორ უმტყუნო ობლებს?!“ კითხვის ნიშანი კი არ უზის ფრაზას ბოლოში, — კითხვა-ძახილისა, ანუ შეჩივლების, თანაგრძნობის სურვილი კი არ ჩანს, გაკვირვებული გაგულისებული, აღშფოთებული ქალის პორტრეტი იხატება. როგორ მიბედავთ, როგორ ვუმტყუნებ ობლებს! — ასეთი ინტონაცია უნდა დავიგულოთ ამ ნაზი და უთქმელი ქალის პასუხში.

„ბავშვები დაზარდა.
ასწავლა ათჯერ მეტი, ვიდრე შეეძლო.
ერთი ვაჟი მოანგარიშეა კოოპერატივში.
მეორე სასამართლოს მოხელეა...
ჩამოისიძა სოფლის მასწავლებელი“.

მწერალი არაფერს ამბობს, ჩვენ კი ვგრძნობთ, რომ აღარ უჭირს ოჯახს, აღარ უჭირთ შვილებს. ამის ხაზგასასმელად წერია „მოანგარიშე“, „სასამართლოს მოხელე“, მაგრამ ისევ დედა ფორჯალობს მათთვის.

„წელში გახრილი, ყავარჯნით ხელში გადადიოდა ერთისაგან მეორესთან.

ბავშვების მოვლა, ჭუკის წამალი“. და იქვე მრავლისმთქმელი ფრაზა: „არსად იყო ზედმეტ სტუმრად“... ამ ფრაზით საცნაური ხდება, რომ იგი საკუთარ შვილებთან უკვე სტუმრად ქცეულა და სტუმრის კვალობაზე, ცდილობს, როგორმე თავი არ მოაბეზროს მასპინძლებს...

დაბოლოს უკანასკნელი აკორდი. „მთრთოლვარე ხელებით, ამღვრეული თვალებით მოქსოვა წინდები, მიუტანა ბავშვს“. შვილიშვილს წინდა არ მოერგო. გახადა, რათა მეორე შვილიშვილისთვის წაეღო. ბავშვი ატირდა.

— მიეცი, სულ ერთია, ოღონდ გაჩუმდეს, — ეუბნება შვილი.

უკვე წვება ნისლი დედა-შვილს შორის. მოხუცის „მთრთოლვარე ხელებით, ამღვრეული თვალებით“ მოქსოვილი წინდა მისი ქალბატონისთვის მხოლოდ ნივთია, რომელიც გამოადგება თუ არა პატარას, სულერთია, უნდა მისცეს ბებიამ, რათა ბავშვი გაჩუმდეს. მოხუცის წვალების, მისი შრომის უგულებელყოფას კიდევ უარესი მოჰყვა.

„— რა, დედა, შეგენანა განა ერთი წინდა?! გინდა მეორე შვილიც მოიმადლიერო! ნუთუ ამის სალირალ პატივს არ გცემთ?“

„შეგენანა“, „მოიმადლიერო“, „სალირალი პატივი“. — თავსაფრიან დედაკაცს მეხივით დაატყდა ეს სიტყვები. ცხადად დაინახა, რომ ის მართლა სტუმრად ქცეულა შვილებისათვის, უკვე მობეზრებულ სტუმრად. მასთან ურთიერთობას მხოლოდ „სალირალი პატივით“ ზომავენ. დაუძლურებული კი აღარავის სჭირდება.

„აღარავისთვის ვარ საჭირო, სრულიად არავისთვის; ვარ სრულიად ზედმეტი“ — ამ მწარე რეალობის შეგრძნებამ გული დაუთუთქა მოხუცს და უჩუმრად მიატოვა ნაჭირნახულევი ქოხი.

„შვილებმა კარგა ხანს ვერ გაიგეს დედის გადაკარგვა. ერთს მეორესთან ეგონა. გაიგეს — შეძრწუნდნენ, შერცხვათ: და აქ გულგრილობა დედისადმი კულმინაციას აღწევს. შეძრწუნდნენ, შერცხვათ არა ნაგვიანევი სინანულის გამო, არამედ მეზობლებში გამოჭენების შიშით. „მოგვეჭრა თავი სოფელ-ქვეყანაში... რას იტყვიან, მოხუც დედას ვერ მოუარესო?!

უნდოდათ საძებრათ წასვლა — ეძვირათ; უნდოდათ გაზეთებში გამოცხადება, — „უარესათ მოგვეჭრება თავიო“.

დედას გულმა უგრძნო: „შვილები დამეჩაგრება, სახელი გაუტყდებათ“. და ჩამოთხოვილი ფულით დაზღვეული, მისი ნაკარნახევი, სხვისი დაწერილი ბარათი გაგზავნა:

„საყვარელო შვილებო, ნუ მიწყენთ, სალოცავად წავედი, ნუ მეძებთ... შვილიშვილები დამიკოცნეთ, ჩემზე ნუ სწუხართ. მშვიდობით სამუდამოდ“.

შვილები მართლაც დაწყნარდნენ. გაუხარდათ. სოფელ-ქვეყანაში თავი აღარ მიეჭრებოდათ...

თავსაფრიანი დედაკაცის სიკვდილს გული არავისთვის უტკენია. მასავით ჭირისუფალი არ ჰყავს. ეს მან სიცოცხლეშივე იგრძნო და დამნაშავესავით სთქვა: „დიდი ხანია ჩემ კაცთან უნდა წავსულიყავი“.

## ცალად დარჩენილი ადამიანის ტრაგედია

თავსაფრიანი დედაკაცების მსგავს მანდილოსანთა არსებაში სიცოცხლის ხალისი, ბედნიერებისაკენ ლტოლვა დაქვრივებასთან, მეორე ნახევრის სიკვდილთან ერთად კვდება. როგორც ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“, ისე ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“, უარყოფაა იმ აზრისა, თითქოს „სამუდამოდ ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა“.

ეს ორი ნაწარმოები ცოლ-ქმრული უღელის ერთგულების ჰიმნია.

თავსაფრიანმა დედაკაცმა, ისე როგორც ოთარაანთ ქვრივმა, ქმრის სიკვდილის შემდეგ სხვისი სარეცელის გაყოფა აღარ ისურვა. არა მარტო იმიტომ, რომ შვილებს ვერ უღალატებდა, იმის გამოც, რომ სხვაგვარად, უბრალოდ, არ შეეძლო. ქმარი მისთვის მხოლოდ ხსოვნა კი არა, მისი ყოველდღიური არსებობის, მისი სიცოცხლის ნაწილია.

ერთი ბერძნული მითის მიხედვით, როდესაც ადამიანი შექმნა ღმერთმა, იგი ანდროგენული არსება იყო. ოთხი ხელით, ოთხი ფეხით, ორი სქესით. თავისთავში აერთიანებდა როგორც დედაკაცს, ისე მამაკაცს. ამ მითს პლატონი თავის ფილოსოფიურ თხზულებაში „ნადიმი“ იყენებს სიყვარულის განსამარტავად.

ანდროგენი ადამიანი იმდენად ძლიერი იყოო, — ამბობს პლატონი, — რომ თვით ღმერთს დაუწყო ბრძოლა, რის გამოც განრისხებულმა ღმერთმა მის დასასუსტებლად იგი ორად გაჰკვეთა. ცალკე დარჩა დედაკაცი და ცალკე მამაკაციო. ეს ორი განკვეთილი ნახევარი მარადიულად დაეძებს ერთმანეთს, რათა კვლავ შეერწყან ერთ სულ და ერთ ხორც. კვლავ აღიდგინონ დარღვეული მთლიანობა და ჰარმონია. ეს ძიება საფუძველი სიყვარულისაო, — დასძენს პლატონი.

სხვათა შორის, ჩვენში ცოლის ან ქმრის სახელდება „მეორე ნახევარი“, შესაძლოა ამ მითიური გადმოცემიდან იღებდეს სათავეს.

ამ მითის დედააზრი ის არის, რომ თუ ცოლი მართლა წყვილია ქმრისა, ერთ-ერთის გარდაცვალება შეუძლებელია დავიწყებას მიეცეს, რადგან ადამიანს სულიერად და ფიზიკურად აკლია მისგან ჩამოჭრილი მეორე ნახევარი.

სწორედ ამ აზრით შეიძლება ვთქვათ, რომ სამუდამოდ ვერ ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა. და ეს ხსოვნა არსებობს მანამდე მაინც, სანამ ცოცხალია გადარჩენილი ნახევარი ერთარსებისა... ამ ხსოვნის გარეგნული გამოხატულებაა შავი სამოსელი თავსაფრიდან წუღებამდის, რომელსაც ქვრივი სიკვდილამდე ატარებს.

ამ გაუხუნარი ხსოვნის დასტურია თავსაფრიანი დედაკაცის უჩუმარი, სხვათაგან შეუმჩნეველი გოდება, როცა მარტოდ-მარტო რჩება საკუთარ სატკივართან. „შავად მოსილმა ქალმა უკან კარებში გამოიტანა ნაბადი, ეზოს მივარდნილ კუთხეში გაშალა და დაიწყო ტირილი... მოთქმა.

წრფელად გულამომჯდარი ისეთ ნაზ სიტყვებს, ისეთის მშვენიერის ხმით ამბობდა, რომ მესრის გადაღმა მე ავტირდი“, — ვკითხულობთ ნოველის ჩანართში.

იგივე რიტუალია აღწერილი „ოთარაანთ ქვრივშიც“.

— „ვაი მე უბედურსა, სადედაბროდლა გახდა ეს ვაჟკაცის იარაღი. მოგიკვდათ, თქვე საწყლებო, კაი პატრონი,... უიმე!... განა მარტო თქვენ მოგიკვდათ!.. ხომ მეც მომიკვდა, მეც!.. წაიღო შავმა მიწამ ჩემი თევდორე. წამოგექცა, ოჯახო, დედაბოძი, დაგიმიწდათ, თოფო და ხმალო, თქვენი ფანდი ვაჟკაცი. გატყდა შუაზე ჩვენის წუთისოფლის უღელიცა. მოგიკვდა, ოთარაანთ ქვრივო, ტოლდასადები მეუღლე, დარჩი ცალად“...

ა, სწორედ ეს, ცალად დარჩენილი ადამიანის ტრაგედია იკითხება „თავსაფრიან დედაკაცში“.

ნიკო ლორთქიფანიძე ნოველის დასაწყისში თავსაფრიანი დედაკაცისა და მისი მეუღლის სავსე ოჯახის აღწერას ამ სიტყვებით ამთავრებს:

„უღელი ხარი;
წელმაგარი კომლი“.

წელმაგარი კომლი აქ უღელში შებმულ, ცხოვრების ჭაპანს შეჭიდებულ ცოლ-ქმარსაც გულისხმობს. საკმარისი იყო „უღელს“ ერთი გამოკლებოდა, რომ „იმატა ობლების მტერმა, იკლო მოყვარემ“. ცალად დარჩენილი ქალი ფრთამოტეხილივით დადის — „თავმდაბალი“, „საჩივრით“, „მუდარით“, რადგან მისი პატრონი და ქომაგი აღარავინაა ამქვეყნად.

როდესაც თავსაფრიანმა დედაკაცმა ზედმეტად იგრძნო თავი, პირველი, რაც გაახსენდა, ქმრის საფლავი იყო. მივიდა. ბალახში მიმალულ ქვას ხელი გადაუსვა და მკაცრად უთხრა: „ჰო, მოვალ... მოვალ ჩემო ფილიპე“.

„მკაცრად“ ეს ის ერთადერთი სიტყვაა, რომლითაც გმირის სულიერი განწყობა ხასიათდება ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ქალი თითქოს ბრალს დებს მეუღლეს უღელში ცალად მიტოვებისათვის, ბრალს დებს საკუთარ თავსაც თავის მეორე ნახევართან დროზე მიუსვლელობისათვის და ერთადერთი იმედიღა რჩება. ეს იმედი მისი გარდაცვლილი მეუღლეა, მასთან მისვლის წინათგრძნობის სიხარულით განათებული.

ნოველა თავსაფრიანი დედაკაცისა და მისი ქმრის შეუღლების რიტუალით იწყება. ნოველის ფინალში კი კიდევ ერთხელ გაიხმიანებს ამ კაცის სახელი— „ფილიპე“, რომელიც მიცვალებული, უპატრონოდ მიგდებული თავსაფრიანი დედაკაცის ნიშნობის ბეჭედზე ამოიკითხეს. ეს ჰრ არის შემთხვევითი. ადამიანს, როგორც ჩანს, არსთა გამრიგემ მხოლოდ მის ტოლსწორთან მიუჩინა მისთვის განკუთვნილი წუთისოფლით „სარგებლობის“ უფლება. მომდევნო თაობის წუთისოფელში მას უკვე წილი აღარ უდევს.

უკვე გერად გრძნობს თავს.

ძნელია ლიტერატურიდან მეორე ისეთი ამაყი გმირის დასახელება, როგორიც ძალამილეული და წელში მოხრილი, თვალისჩინგამოლეული თავსაფრიანი დედაკაცია.

იგი ოჯახიდან არავის გაუგდია.

„უბრალოდ“, ზედმეტ ადამიანად, წუთისოფლის გერად ცხოვრება არ ისურვა, რასაც ეს უსამართლო წუთისოფელი სთავაზობდა...

ამ სოფლის გერობას, იმ სოფლის კანონიერი მკვიდრობა არჩია...

მომდევნო ნომერში დაიბეჭდება
ნ. ლორთქიფანიძის ,,ტრაგედია
უგმიროდ“ განხილვა

## პოლიტიკური პარტიები

# დღის წესრიგში დადგება ე. შევარდნაძისა და ი. მენაღარიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად...

### საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარტიათა საორგანიზაციო ცენტრის განცხადება ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის თაობაზე 1996 წ. 16 მაისის მოლაპარაკებისა და ამ მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილი მემორანდუმის გამო

1. ტერმინის „სამხრეთ ოსეთი" გამოყენება საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილის მიმართ და „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" შექმნა 1922 წელს იყო უკანონო (აურჩეველი) ორგანოს — საქართველოს ცაკ-ის — მიერ რუსული ბოლშევიკური ოკუპაციის პირობებში განხორციელებული უკანონო ღონისძიება, ხოლო „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" გაუქმება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 11 დეკემბერს იყო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების კანონიერი უმაღლესი არჩევითი ორგანოს კანონიერი აქტი. ეს აქტი არც საქართველოს ხელისუფლების უზენაეს საბჭოს, არც საქართველოს პარლამენტს არ გაუუქმებია. ამგვარად, მემორანდუმში გამოთქმის „სამხრეთ ოსეთი" ხმარება, როგორც ტერიტორიული და პოლიტიკური ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინისა, ისევე როგორც მისივე ხმარება, ზეპირად და წერილობით, მანამდე ე. შევარდნაძის მიერ, საქართველოში ეუთო-ს მისიის მიერ და რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ არის საქართველოს კანონის უგულებელყოფა და, მაშასადამე, საქართველოს შეურაცხყოფა.

2. საქართველოსა და „სამხრეთ ოსეთად" წოდებულ თვითმარქვია ტერიტორიულ-პოლიტიკურ ერთეულს შორის არ შეიძლება წარმოებდეს რაიმე მოლაპარაკება, ვინაიდან ეს იქნება მოლაპარაკება მთელსა და მისსავე ნაწილს შორის. მოლაპარაკებაში ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტის შესახებ ოსი სეპარატისტები, რომელნიც საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიან იარაღით ხელში, შეიძლება მონაწილეობდნენ მხოლოდ როგორც „ქართულ-ოსური კონფლიქტის ოსური მხარე". მემორანდუმში მათი მოხსენიება „სამხრეთ ოსეთად" ან თუნდაც „სამხრეთ ოსეთის" წარმომადგენლებად ტოლფასია მათი შეიარაღებული მოქმედების უკანონობის უგულებელყოფისა, რის უფლებაც არც საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, არც მემორანდუმზე ხელის მომწერ სხვა სუბიექტებს — რუსეთის ფედერაციისა და ეუთო-ს წარმომადგენლებს — არა აქვთ.

3. მოლაპარაკება ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტის შესახებ და ამ მოლაპარაკების შედეგთა ამსახველი მემორანდუმი ვერ იქნებოდა და ვერ იქნება ვერც სამართლიანი, ვერც რეალისტური მასში ამ რეგიონის ქართველი მოსახლეობის, მათ შორის — რეგიონიდან ლტოლვილი ქართველი მოსახლეობის მონაწილეობის გარეშე იმავე საწყისებზე და იმავე უფლებამოსილებით, როგორითაც მასში მონაწილეობს რეგიონის ოსური მოსახლეობა.

4. საქართველოს შიგნით მიმდინარე კონფლიქტის შესახებ მოლაპარაკების უფლება, თუ ამ მოლაპარაკების მიზანია საქართველოს შიგნით არსებულ პიროვნებათა, ჯგუფთა და პოლიტიკურ ძალთა შორის ან ერთის მხრივ ამ პიროვნებებს, ჯგუფებსა და ძალებს, მეორეს მხრივ კი საქართველოს ხელისუფლებას შორის ურთიერთობათა მოგვარება, აქვთ მხოლოდ საქართველოს შიგნით არსებულ ზემოხსენებულ სუბიექტებს. სხვა სახელმწიფოსთან (რფ) საქართველოს ხელისუფლების მოლაპარაკება საერთაშორისო მოლაპარაკებაა და მასში არ შეიძლება მონაწილეობდეს საქართველოს რომელიმე ნაწილი, როგორც სუბიექტი. საქართველოს მოლაპარაკებაში რუსეთთან „სამხრეთ ოსეთად" მოხსენიებული უკანონო ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის მონაწილეობა ნიშნავს ამ ერთეულისათვის საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსის მინიჭების მცდელობას, რაც კანონსაწინააღმდეგოა. ამავე საფუძველზე კანონსაწინააღმდეგოა ეუთო—სთან საქართველოს მოლაპარაკებაში ამ ერთეულის მონაწილეობა.

5. დაუშვებელია, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, რომ სხვა სახელმწიფო საქართველოსთან მოლაპარაკებას აწარმოებდეს და ამ მოლაპარაკების შედეგთა მაფიქსირებელ დოკუმენტს ხელს აწერდეს ორგვარად — მთელის (რფ) სახელით და ნაწილის („ჩრდილოეთ ოსეთის") სახელით, — ვინაიდან ამით მთელს (რფ), საშუალება ეძლევა, თავისთავზე პასუხისმგებლობის აღების გარეშე მართოს ნაწილის მოქმედება მოლაპარაკების პროცესში საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგოდ.

6. მოლაპარაკებაში საქართველოს შიგნით მიმდინარე პროცესების შესახებ რუსეთის მონაწილეობა, როგორც დაინტერესებული მხარისა, შეუთავსებელია საქართველოს სუვერენიტეტთან, ვინაიდან ეს ნიშნავს არა მხოლოდ რუსეთის უფლებამოსილების აღიარებას, რომ საქართველოს შიგნით არსებული ვითარების მიმართ დაინტერესება ჰქონდეს, არამედ რუსეთის იმ უფლებამოსილების აღიარებასაც, რომ საქართველოში არსებული ვითარების მართვაზე გავლენა მოახდინოს ანუ საქართველოს შინაგან საქმეებში ჩაერიოს. რუსეთის მონაწილეობა საქართველოსა და მისი ნაწილის მოლაპარაკებაში, ანუ საქართველოს ხელისუფლებასა და მისი მოქალაქეების ნაწილს შორის მოლაპარაკებაში, შუამავლის ფუნქციით აგრეთვე დაუშვებელია, რადგან ეს ნიშნავს მოლაპარაკების ქცევას საერთაშორისო მოლაპარაკებად, რომელშიც საქართველოს ნაწილი ან მისი მოქალაქეების ნაწილი სუბიექტად ვერ იქნება.

7. ეუთო, როგორც თავისი რეკომენდაციების საშუალებით კონფლიქტის დამრეგულირებელი, საქართველოში მიმდინარე პროცესთა დამკვირვებელი, შემფასებელი და მათ შესახებ საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის ინფორმაციის მიმწოდებელი, ნდობას არ იმსახურებს, რამდენადაც მისმა აქამდელმა მუშაობამ და წარმოდგენილმა რეკომენდაციებმა ვერ გვიჩვენა ობიექტურობა მისი მხრიდან. სახელდობრ:

— თავის მიერ მომზადებულ დოკუმენტში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთში „Свободная Грузия" რუსულ ენაზე, მან ქართველ მოსახლეობას და ქართულ სახელმწიფოს მიაწერა დანაშაულობები, რომელთა ფაქტი არაა ცნობილი რომელიმე სასამართლოს მიერ, რის საფუძველზეც საჭიროდ ცნო საქართველოს ტერიტორიის ერთ ნაწილზე საქართველოს ხელისუფლების უფლებამოსილებათა შეზღუდვა;

— მან ადგილზე ვითარების შესწავლის პროცესში, რისთვისაც დიდი და თავდადებული შრომა გაწია, თითქმის მთლიანად უგულებელყო ცხინვალის რეგიონის ქართველი მოსახლეობის აზრი და საჩივრები, თითქმის არ შეჰხვდა მას და სრულებით არ შეჰხვდა ქართველი ეროვნების ლტოლვილებს, რომლებიც იძულებულნი გახდნენ გამოსულიყვნენ ოსთა და სამხრივ „სამშვიდობო" ძალთა მიერ კონტროლირებული ზონიდან სიცოცხლის და ოჯახის გადარჩენის მიზნით;

— მან თავის რეკომენდაციებში საჭიროდ ჩათვალა საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან იმგვარი დათმობების განხორციელება უცხო ქვეყნიდან (რუსეთიდან) ინსპირირებული შეიარაღებული მეამბოხეების მიმართ (რომელთაც არც ერთი საათი არ უკონტროლებიათ მათ მიერ დღეს დაკავებული ტერიტორია რუსეთის შეიარაღებული ძალის იქ ყოფნის გარეშე არც დღეს, არც წარსულში), რომლებიც არ არის გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა და უმცირესობის უფლებათა დამცველი არც ერთი საერთაშორისოდ აღიარებული ნორმით და არც ერთი დოკუმენტით ამ სფეროში. ამგვარად, მან მოახდინა მცდელობა საქართველოს ვითარებისთვის ახალი, განუსაზღვრელი მარეგულირებელი ნორმის მიყენებისა, წინასწარ მისი ზოგად ნორმად შემოღების ცდის გარეშე, და ამ ახალი ნორმის საფუძველზე საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი ინტერესების გამოუსწორებელი დაზარალებისა;

— მან წაახალისა შეიარაღებული მეამბოხე სეპარატისტები და სამოქმედო სტიმული მისცა მათ იმით, რომ საქართველოში ეუთოს მისიის თავმჯდომარემ ბატონმა აიფმა მისიის მუშაობის შესახებ სიტყვა წარმოთქვა ოსების პარლამენტის წინაშე, მაგრამ არ გამოსულა ამავე თემაზე საქართველოს პარლამენტის წინაშე.

უჭერს რა მხარს თავისი რეკომენდაციით საქართველოში „ოსეთის" შექმნის შესახებ იმის პრეცედენტის შექმნას, რომ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში (რომლის სიდიდე და გეოგრაფიული, ეკონომიკური ან სხვა ერთიანობის ხარისხი სრულებით განუსაზღვრავია), ამ ქვეყნის მოსახლეობისა და მისი ე.წ. „სატიტულო" ეთნოსის ნებასთან პირდაპირ წინააღმდეგობაში, ნებისმიერი უმცირესობისათვის, რომელმაც ამ ტერიტორიაზე რიცხობრივ უპირატესობას მიაღწია, შეიქმნას ავტონომიური ტერიტორიული ერთეული, რომლის ბედის განსაზღვრაშიც დღეს და მომავალში მონაწილეობას მიიღებენ გარეშე ძალები იმ სახელმწიფოთა ჩათვლით, ვისი ე.წ. „სატიტულო ერიც" ეთნიკურად იდენტურია ამ უმცირესობისა, ამით ეუთო გამოთქვამს ისეთ წინადადებას ეროვნულ და ეთნიკურ კონფლიქტთა ზრდის რეალური საშიშროების წინაშე მდგარი დღევანდელი მსოფლიოსადმი, რომელიც უაღრესად სახიფათოა, ვინაიდან ეთნოსთა დემოგრაფიულ დინამიკასთან მათ მიერ დასახლებული ტერიტორიის პოლიტიკური სტატუსის დაკავშირება, ანუ ამ დინამიკასთან ქვეყნის სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობის დაკავშირება ამ წესით — პირველის მიერ მეორის განსაზღვრა ამ წესით — გარდუვალად შექმნის (ისეთ არეალებში მაინც, რომლებსაც შემწყნარებლობის ისეთი მაღალი კულტურა არ გააჩნიათ, როგორც საქართველოს და კავკასიას საერთოდ) **რეალურ ფსიქოლოგიურ პირობებს დემოგრაფიულ დინამიკაზე ზეგავლენის მცდელობისათვის, ამ ზემოქმედების ყველაზე ბარბაროსულ მეთოდთა — გენოციდის, ეთნიკური წმენდისა და დეპორტაციის — ჩათვლით**, როგორც ერთადერთი საშუალებისა ქვეყნის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური რუკის მიმართ ზემოაღწერილი ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

9. საქართველოში მცხოვრები ოსური დიასპორის ერთი ნაწილისათვის, რომელიც ამ დიასპორის 38% შეადგენს, ავტონომიის შექმნა იმ ხელოვნურად (ანუ ისტორიული, გეოგრაფიული, სატრანსპორტო და ეკონომიკური წანამძღვრების გარეშე) მოხაზულ ტერიტორიაზე, რომლის მოსახლეობაშიც იგი 66 %-ს შეადგენს, და ამ ტერიტორიისათვის „ოსეთის" დარქმევა, აგრეთვე ამ ტერიტორიის და მისი მოსახლეობის შემდგომი ბედის განსაზღვრაში მეზობელი სახელმწიფოს (რფ) მონაწილეობის დაშვება, რომლის ერთ-ერთი ნაწილი (ჩრდილოეთ ოსეთი) ამ დიასპორის ეთნიკურად იდენტური ერის ქვეყანაა და მისი ისტორიული სამშობლოა, წანამძვარს ქმნის საქართველოში, სულ ცოტა, კიდევ ოთხი ანალოგიური ტერიტორიული ავტონომიის შექმნისათვის და, შესაბამისად, საქართველოს სხვადასხვა ნაწილებზე ოთხი სხვადასხვა სახელმწიფოს, მათ შორის — სამი მეზობელი სახელმწიფოს კონტროლის დაწესებისათვის. ამავე დროს მემორანდუმში ასახული შეთანხმება ქმნის საფუძველს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ფუნქციების გაგრძელებისათვის, რაც ზუსტად შეესაბამება ყოფილი სსრკ სივრცის მიმართ რუსეთის იმპერიულსა და გეოსტრატეგიულ ინტერესებს, მაგრამ არანაირად არ შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს.

ვითარების ზემორე მოცემული ინტერპრეტაციის მართებულობას დამატებით გვიდასტურებს ის გარემოება, რომ საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციაში, რომლის ტექსტის მოსკოვური წარმოშობა ეჭვს არ იწვევს, შესული იყო ახალი მუხლები, რომელთა ძალითაც საქრთველოს სსრ-ს უფლება ეძლეოდა თავის შიგნით ახალი ავტონომიების შექმნისა. ამგვარად, საქართველოში „ოსეთის" შექმნის დღევანდელი გეგმა საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილის არაქართულ ავტონომიებად დანაწილების და ამ ავტონომიათა უცხო კონტროლისადმი დაქვემდებარების პოლიტიკის ერთ-ერთ ელემენტად და მის პირველ ნაბიჯად წარმოგვიდგება.

10. საქმის ისე წარმოდგნა საქართველოს დღევანდელი მმართველი გუნდის მიერ, თითქოს საქართველოში ავტონომიური „ოსეთის" შექმნით საქართველო აღიდგენს თავის იურისდიქციას ცხინვალის რეგიონის დღეს ფაქტობრივად ჩვენი სახელმწიფოს კონტროლის გარეთ მყოფ მიწა-წყალზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაკარგავს ამ ტერიტორიას, ყალბია მის ორსავე ნაწილში, სახელდობრ:

ა) საქართველოში „ოსეთის" შექმნა საქართველოს მხოლოდ დროებით უნარჩუნებს ამ ტერიტორიას, და არა სამუდამოდ. ჯერ ერთი, ავტონომია საშუალებას აძლევს საქართველოს მოწინააღმდეგეს, მართოს ამ ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესები, დემოგრაფიულის ჩათვლით, რითაც მას შეუძლია ქართული პოზიციები ამ რეგიონში თანდათან შეასუსტოს და ნოლზე დაიყვანოს. მეორეც, ტერიტორიისთვის „ოსეთის" დარქმევა მსოფლიო საზოგადოებრიობას უქმნის და უმტკიცებს შთაბეჭდილებას, რომ აღნიშნული ტერიტორია ოსების ქვეყანაა, რომელიც საქართველოს უპყრია, რაც ბუნებრივად სვამს ამ „ქვეყნის" საქართველოსგან „განთავისუფლების" საკითხს, როგორც კი კაცობრიობის თვალში ერთა და ქვეყანათა თავისუფლების პრინციპი უპირატესობას მოიპოვებს არსებულ საზღვართა ხელშეუხებლობის პრინციპზე (რაც გარდუვალია ისტორიულად არც თუ შორეულ ხანაში). მესამეც, „სამხრეთ ოსეთის" არსებობა ოსი ერის წინაშე პირველ ზოგადეროვნულ ამოცანად დასვამს ორი "ოსეთის" შეერთებას და ამით კონფლიქტის უსასრულოდ გაგრძელებას გამოიწვევს.

**ბ) საქართველოს ვერავითარი ძალა ვერ დააკარგვინებს ცხინვალის რეგიონს იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კანონიერი ხელისუფლება არ მოახდენს იურიდიულ კაპიტულაციას მოწინააღმდეგის წინაშე და არ დათმობს თავის უფლებებს ან უფლებათა რაღაც ნაწილს ამ ტერიტორიის მიმართ.** როგორც უკვე აღინიშნა, ოსი სეპარატისტების მიერ ტერიტორიის კონტროლი დღემდე ხორციელდება მხოლოდ რუსეთის შეიარაღებული ძალის იქ ყოფნის პირობებში და, თუ საქართველოს ხელისუფლება გამოიყენებს თავის შესაძლებლობებს, ვერ გაგრძელდება მის გარეშე. რუსეთის შეიარაღებული ძალების რეგიონში ყოფნისთვის კი აუცილებელი პირობაა ამაზე საქართველოს ხელსუფლების თანხმობა და, ამგვარად, **საქართველოს ხელისუფლებას გარანტირებულად შეუძლია (თუკი უნდა) მათი გაყვანა რეგიონიდან მანამდე, სანამ სახელმწიფო საზღვართა ხელშეუხებლობის პრინციპის გადასინჯვა არ მომხდარა.** იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთი მრავალმხრივ არის დაინტერესებული საქართველოს კეთილგანწყობის მოპოვებაში, საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია, საქართველოს ინტერესებისადმი მისი ერთგულების შემთხვევაში, ადვილად მიაღწიოს ზემოაღნიშნულს.

ჩვენ მზად ვართ ზემოთქმულის უფრო ფართოდ დასაბუთებისათვის და, ამდენად, ვიწვევთ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ბატონ ე. შევარდნაძის მეთაურობით სადისკუსიოდ ამ თემაზე.

11. საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ ქართველი ერის, საქართველოს მოსახლეობისა და მსოფლიოს წინაშე, რომ საქართველოს დღევანდელი პრე-

დასასრული მე-8 გვ.



ხე, რომელზეც მიაბეს და დასწვეს ოსმა სეპარატისტებმა მერაბ მინდიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წუთშესვენება - იუმორის გვერდი

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.



# მაიმუნი პოლიტიკოსისაგან ისვენებს

# პოლიტიკოსები ასე მაიმუნობენ...



* * *

**ლიგაჩოვი** ურეკავს იოსებ ბესარიონის ძეს და შესჩივის ქვეყანაში არსებულ ვითარებას:

— რა მოვუხერხოთ სომხეთსა და აზერბაიჯანს? როგორ მოვსპოთ მტრობა? როგორ გადავწყვიტოთ ეროვნული საკითხი?

— ძალიან უბრალოდ, ძვირფასო. აიღე და ორივე ერთ რესპუბლიკად გააერთიანე.

— მართლაც, რა გენიალურია!.. მაგრამ... გაერთიანების შემდეგ ხომ ისევ დაიწყება კამათი, რომელი იქნება დედაქალაქი: ბაქო, თუ ერევანი?

— რატომ ბაქო ან ერევანი? დედაქალაქი მაგადანი იქნება!

* * *

**ჩერნენკოს** დაკრძალვის შემდეგ კრემლში გაისმა გაბმული ზარი.

— ალო, გენერალური მდივანი არ გესაჭიროებათ?

— თქვენ რა, ამხანაგო, სულელი ხართ?

— დიახ! სულელიცა ვარ, ბებერიც და ავადმყოფიც.

* * *

**გაცოცხლდა** სტალინი და გამოვიდა მოსკოვში სასეირნოდ. ფიქრობს: „დაიბნენ უჩემოდ, ქვეყანაში არეულობაა, ჩერჩეტი კომუნიზმამდე როგორ მივა". შევიდა კრემლში და პოლიტბიუროს პირველსავე სხდომაზე მონუსხა.

პოლიტბიუროს წევრები სტალინს შემოეხვივნენ და ჰკადრეს: „რის გაკეთებას გვიბრძანებ?"

— მაშ ასე, პირველი — მემარჯვენე დეპუტატების რეგიონალური ჯგუფი უნდა დაიხვრიტოს; მეორე — მავზოლეუმი მწვანედ უნდა გადაიღებოს.

ლიგაჩოვმა მოუთმენლად ჰკითხა:

— იოსებ ბესარიონის ძევ, რატომ მაინცდამაინც მწვანედ?

— ვიცოდი პირველ საკითხზე კამათი არ იქნებოდა... — უპასუხა სტალინმა.

* * *

**ესტონეთი** თხოულობს თავისუფლებას ერთი თვით. გენერალური მდივანი მოეთათბირა მინისტრს და უარი უთხრა.

ესტონელებმა კვლავ მიმართეს თხოვნით და მოითხოვეს ერთი დღით თავისუფლება.

ამჯერადაც უარი მიიღეს.

მაშინ ითხოვეს თავისუფლება მხოლოდ 10 წუთით.

„რას მიაღწევენ 10 წუთში" — იფიქრა გენერალურმა მდივანმა და ნება დართო.

— რა მდგომარეობაა ესტონეთში? — იკითხა ათი წუთის შემდეგ.

— მიხეილ სერგის ძევ, პირველ ხუთ წუთში ესტონეთმა ომი გამოუცხადა ფინეთს, ხოლო დარჩენილ დროში ჩაბარდა ტყვედ.

* * *

**ბრეჟნევი** ატარებს პოლიტბიუროს სხდომას:

— ამხანაგებო! თვალს გადევნებთ და ვხედავ, რომ ჩვენი პოლიტბიურო შეიპყრო სკლეროზმა. გუშინ ე-ს დასაფლავებაზე, სხვათა შორის სად არის ის? როდესაც მუსიკამ დაუკრა, მხოლოდ მე ერთადერთი მივხვდი და ქალი გავიწვიე საცეკვაოდ.

* * *

**ლეონიდ** ილიას ძე რადიოთი მორიგ სიტყვას წარმოთქვამს:

— ზოგიერთები ხმებს ავრცელებენ, თითქოს ჩემს მაგიერ ყრილობაზე ფირფიტა ლაპარაკობდა. ეს არაა მართალი... ეს არაა მართალი... ეს არაა მართალი...

* * *

**სხედან** რეიგანი, ჟისკარ დესტენი და ბრეჟნევი. დალიეს ასი გრამი კონიაკი. რეიგანი: „გავაბოლოთ?" და იღებს ვერცხლის პორტსიგარს, რომელზეც ამოტვიფრულია სიტყვები: „ჩვენს ძვირფას რონის პარტიული თანამოაზრეებისაგან". კიდევ დალიეს. ახლა ჟისკარ დესტენმა ამოიღო ოქროს პორტსიგარი, აწერია: „ძვირფას ვალერის ჟანეტისაგან". კიდევ დალიეს. ახლა ბრეჟნევმა ამოიღო ოქროს პორტსიგარი, ბრილიანტებით შემკული. თავსახურზე წერია: „ა.ს.პუშკინს თავად ვიაზემსკისაგან".

* * *

**ბრეჟნევი** მანქანით მიდის. დაინახა ქანდაკება. გააჩერა მანქანა და იკითხა:

— ვისია ეს ქანდაკება?

— ჩეხოვისაა.

— აა, ეს ისაა „მუმუ" რომ დაწერა არა?!

— არა. „მუმუ" ტურგენევისაა.

ჩაჯდა ბრეჟნევი და ჩაილაპარაკა:

— უცნაურია! „მუმუ" ტურგენევმა დაწერა, ქანდაკება კი ჩეხოვისაა?!

* * *

**როგორღაც,** შუაგულ ბრძოლის დროს ტყვიამფრქვევი დადუმდა...

— ამხანაგო მეთაურო, ტყვიები გამითავდა...

— ლაშქაროვ, შენ ხომ კომუნისტი ხარ!

ტყვიამფრქვევი უფრო დიდი ხნით აკაკანდა.

* * *

**გენერალური** მდივანი გამოდის ყრილობაზე.

— ამხანაგებო! 1990 წელს ჩვენ არ გვექნება ხორცის პროდუქტები, რა ვქნათ?

დარბაზი დუმს. უცებ გაისმის ხმა:

— ვიმუშავებთ დღე-ღამეში 10 საათს.

გენერალური მდივანი: ხოლო 1991 წელს, ამხანაგებო, ჩვენ არ გვექნება რძის პროდუქტები. რას გვირჩევთ?

იგივე ხმა პასუხობს: ვიმუშავებთ დღე-ღამეში 16 საათს.

გენერალური მდივანი: 1992 წელს კი, ამხანაგებო, შეფერხება გვექნება პურით მომარაგებაში.

— ვიმუშავებთ დღე-ღამის განმავლობაში!!!

გენერალურ მდივანს გული აუჩუყდა: გმადლობთ მხარდაჭერისათვის ძვირფასო ამხანაგო! ნება მომეცით გავიგო, სად მუშაობთ?

— კრემატორიუმში, მიხეილ სერგის ძევ!

* * *

**სხდომაზე** დაგვიანებული ცეკას წევრი გვერდზე მჯდომს ეკითხება:

— რა საკითხები განიხილეს ჩემს მოსვლამდე?

— ორი საკითხი განიხილეს. ერთი მიიღეს, მეორე არა.

— რა წინადადებანი იყო?

— პირველი წინადადება იყო ნიკოლოზ მეორისათვის ოქტომბრის რევოლუციის ორდენის მინიჭების შესახებ...

— ეგ როგორ! რისთვის?!

— როგორ რისთვის, რევოლუციონერებს მკაცრად არ ეპყრობოდა და ქვეყანა რევოლუციამდე მიიყვანა. გადაწყვიტეს კიდეც დააჯილდოვონ.

— მეორე წინადადება რაღა იყო?

— ნიკოლოზ მეორისათვის შრომის წითელი დროშის ორდენის მინიჭებას ეხებოდა.

— არ მიიღეს?

— გადაწყვიტეს, რომ არ ღირს. ლურსმანი და მარცვლეული მხოლოდ 70 წელი გვეყო.

* * *

**ტელეფონის** ზარი.

— ალო, ეს სუკია?

— არა, სუკი დაიწვა.

ისევ ზარი.

— ალო, ეს სუკია?

— არა, სუკი დაიწვა.

ისევ ზარი.

— ალო, ეს სუკია?

— თქვენ რა, არ გესმით? რამდენჯერ უნდა გაგიმეოროთ — სუკი დაიწვა!

— რა მოგივიდათ. იქნებ მე მსიამოვნებს ამის გაგონება...

* * *

**სიკვდილის** წინ ჩერნენკომ საიქიოში ბრეჟნევს დაურეკა და ჰკითხა:

— ამხანაგო ბრეჟნევო, მითხარით, მანდ წამოსასვლელად რისი წამოღებაა საჭირო? იქნებ თქვენთან რაიმეს დეფიციტს განიცდით?

— რას ამბობ, აქ ყველაფერი უხვადაა, როგორც კომუნიზმში... თუმცა... ამხანაგო ჩერნენკო, კოვზი და ჩანგალი მაინც წამოიღეთ...

— რაღა სიუხვეა, თუ კოვზები არა გაქვთ?

— რას ამბობ; კოვზები არის. უბრალოდ, როცა სამზარეულოში ჰიტლერი მორიგეობს, ამხანაგებს: ლენინს, სტალინს, ხრუშჩოვს და მე გვაიძულებს ურთით და ნამგლით ვჭამოთ.

# დღის წესრიგში დადგება ე. შევარდნაძისა და ი.მენაღარიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად...

მეექვსე გვერდიდან

ზიდენტის შევარდნაძის პოლიტიკა,რომლის გამოხატულება და შედეგია 1996 წლის 16 მაისის მემორანდუმი და რომელიც დღემდე ფარულად, მაგრამ თანმიმდევრულად, დღეს კი უკვე ღიად მიმართულია რუსეთის იმპერიული ინტერესის განხორციელებისაკენ საქართველოში, არის საქართველოს პირდაპირი ღალატის პოლიტიკა, რომელიც ე.შევარდნაძეს ამხილებს როგორც რუსეთის მოხელეს საქართველოში, რუსეთის — და არა საქართველოს — ნების გამტარებელს, და დღის წესრიგში აყენებს მის პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად. პასუხისმგებლობას ექვემდებარება, ამავე წესით, აგრეთვე საქართველოს ამჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ი.მენაღარიშვილი.

12. საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე იმის გაცხადება, რომ, საქართველოზე მრავალმხრივი ზეწოლის ფაქტიდან გამომდინარე, რომელსაც ახორციელებს პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით რუსეთი, საქართველოში მომუშავე და საქართველოს პოლიტიკურ წრეებში ჩართული რუსული აგენტურა და ზოგი საერთაშორისო ორგანიზაციაც კი, რომელსაც უჭირს საქართველოს ეროვნული ინტერესების გაგება და ამიტომ ისეთი წინადადებებით მიმართავს ზოგჯერ მას, რომლებიც არ შეესაბამებიან საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებადაცვით დოკუმენტებში დაფიქსირებულ ნორმებს და არ გამომდინარეობენ მათგან, ჩვენ მიზანშეწონილად ვცნობთ სისტემატურად აღვრიცხოთ და საზოგადოებისთვის ცნობილი გავხადოთ ყველა ის საპარლამენტო გადაწყვეტილებები, რომელთა საქართველოსთვის თავს მოხვევის მცდელობაც მოსალოდნელია უახლოეს ხანებში და რომელთათვის ხმის მიცემაც პარლამენტის ამა თუ იმ წევრის მხრიდან ჩვენს მიერ შეფასდება როგორც სახელმწიფო ღალატი. ხმის მიცემა საქართველოს მიწა-წყალზე „ოსეთად" წოდებული ტერიტორიული ავტონომიის შექმნისათვის, აგრეთვე რაიმე სხ[illegible] ეროვნულ-ტერიტორიული ავტონ[illegible]ის შექმნისათვის, რომელსაც ქვეყ[illegible] აღმნიშვნელი სხვა გეოგრაფიული სახელი ექნება, გარდა „საქართველოსი", ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ პარტიებს მიაჩნიათ საქართველოს ღალატად პარლამენტის წევრის მიერ აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

**ნ. ნათაძე** — საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

**ჯ. მიქელაძე** — სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი

**რ. ლიპარტელიანი** — საქართველოს აგრარული პარტია

**ვ. შერმაზანაშვილი** — საქართველოს ეროვნული პარტია

**ვ. გიორგაძე** — საზოგადოება „კავკასიელი"

**ირ. წერეთელი** — საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია

**ზ. ვაშაყმაძე** — საქართველოს ნაციონალისტური პარტია

**ზ. ცინცაძე** — ილია ჭავჭავაძის საზოგადოება

**ა. ნადარაია** — საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია „სამშობლოს ფარი"

**მ. კიკნაძე** — პოლიტიკური ორგანიზაცია „სიმართლე"

**ნ. შავთვალაძე** — ქრისტიან სოციალური კავშირი

**თ. მამაგეიშვილი** — კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება

**გ. გოგბაიძე** — ეროვნულ-რადიკალური პარტიის დამფ. ჯგუფი

# ლუჩიანო პავაროტი ოჯახის გარეთ თავს «რაღაცეების» უფლებას აძლევდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პავაროტი იტალიური პრესის მარწუხებში

„**კარგად** დაფიქრდი, ლუჩიანო, ტრფობის ალი, დღეს რომ ბედნიერებად გეჩვენება, ესოდენ აღტყინებულს, სიმარტოვესა და უბედურებას გიქადის. კარგად დაფიქრდი, შენი ცხოვრების მწუხრის ჟამი დგება..." აი, ასეთი ლამაზი შეგონებით მიმართავს მიტოვებული მეუღლე თავგზადაკარგულ ქმარს... ამ ლიბრეტოზე ერთი კარგი ოპერა დაიწერებოდა: სოპრანო მოსთქვამს, გულდამწვარი საყვედურობს ამპარტავან, სიყვარულით გახელებულ მამაკაცს, შორიდან კი მეორე ქალის, მეცო-სოპრანოს მაცდუნებელი და მომაჯადოებელი ხმა ისმის.

ოპერის სახელწოდებაც თითქოს მზადაა: „შეყვარებული ლუჩიანო, ანუ შუადღის დემონი". შეიძლება თუ არა მთავარი როლი ლუჩიანო პავაროტის მივანდოთ? არა, იგი ტენორია, მან ახალგაზრდა გმირების როლები უნდა განასახიეროს, ამ ოპერისთვის ჩვენ ბარიტონი გვჭირდება.

მაგრამ, საქმე ის არის, რომ ყოველივე ზემოთქმული უშუალოდ ეხება პავაროტის და იგი ფანტაზიის ნაყოფი არ გახლავთ. ამის შესახებ იტალიური პრესა წერს: ცნობილმა გაზეთმა „სცამპამ" მას პირველი გვერდის მთელი „სარდაფი" და ერთი შუა გვერდი დაუთმო. წერილს მომღერლის ფოტოც თან ახლავს.

წერილის ავტორი ადუა პავაროტი ოცდათხუთმეტი წლის ტენორის ერთგული მეუღლეა. სკანდალურ ქრონიკებში დახელოვნებული ჟურნალისტები რამდენიმე თვეა გაფაციცებით ზვერავენ პავაროტის ოჯახს — დიდებული ლუჩიანოს, რომელმაც თავისი მესამოცე შემოდგომა იზეიმა, ჩანს, თავისი 23 წლის მდივნის, ნიკოლეტა მანტოვანის ხიბლს ემონა.

არა და, ნიკოლეტას სილამაზე ვის არ აცდუნებს!

მშვენიერი ქალიშვილი მომნუსხველი ღიმილით და, ამასთან ერთად, ჭკვიანიც! მან ბოლონიის უნივერსიტეტი დაამთავრა და შესაშურ ფსიქოლოგიურ ნიჭს ფლობს. სწორედ მან შესძლო ნუგეში ეცა ლუჩიანოსთვის, როდესაც იტალიის ნაკრებმა მსოფლიოს თასი დაკარგა. და განა მან არ გააძევა ერთ-ერთი გასტროლების დროს მომღერლის ოთახში



ვინ იცის საიდან შემოხეტებული გველი?

ვინ დაუდგება წინ ამდენი უნარით დაჯილდოებულ ვენერას? ეს პირველი დარტყმა არ არის, რომელიც ლუჩიანომ თავის ოჯახს მიაყენა. არცთუ ისე დიდი ხნის წინ იგი სიტყვებს არ იშურებდა კანონიერი მეუღლის საქებრად, რომელიც ამავდროულად პავაროტის იმპერიის ტვინია. მაგრამ ერთდროულად ღიმილით აღიარებდა: „ოჯახის გარეთ... როგორ გითხრათ..." ეს მარადიული მოგზაური საკუთარ თავს ზოგ-ზოგი რამეების უფლებას აძლევდა.

### განქორწინება არაიტალიურად

ადუა გარკვეულ დრომდე თვალს იბრმავებდა. იგი კოლოსალური სიმდიდრის მცველი გახლდათ და საქმეს იყოს გადაგებული. და აი, უცებ ადუამ ტონი იცვალა. გაზეთებში იდილიური სურათები გამოაქვეყნეს! ნაზი შეყვარებულები ოკეანის ნელ-თბილ ტალღებში ჰყუმპალაობენ. ეს უკვე მეტისმეტი იყო: ადუა საჯარო შეურაცხყოფას ველარ აიტანდა. როდესაც ვატიკანმა პავაროტის ნიუ-იორკში ჩატარებულ გრანდიოზულ წირვაზე სიმღერა აუკრძალა, ადუამ არაფერი შეიმჩნია და პრესის გამქირდავ სტატიებს ყური არ ათხოვა. მაგრამ ახლა ლუჩიანოს ზედმეტი მოუვიდა. მერე კიდევ, ეს ვიღაც ნიკოლეტა ხმამაღლა აცხადებს, რომ სურს პავაროტის ვაჟიშვილი „აჩუქოს". განა ეს მისი სამი ქალიშვილის შეურაცხყოფა არ არის!

გაცოფებულმა ადუამ ჰოლივუდის სახლის კარებს პავაროტის გვარი ჩამოგლიჯა. ახლა ალაყაფის კარებზე მხოლოდ ერთი გვარია: ადუა ვერონი. ამ თანამედროვე იუნონამ საკუთარი ვექილის ხელით დაუგზავნა გაზეთებს წერილი, რომელმაც გრანდიოზულ სკანდალს მისცა დასაბამი. ეს „უსტარი" დიპლომატიური ხელოვნების შედევრია. „ნებისმიერ ადამიანს, ერთ მშვენიერ დღეს იავარდებით ფენილი გზა ჩიხში შეიყვანს. ასეთია თვით არსებობის წესი. როდესაც დაისის ბინდბუნდი ჩამოწვება, სიმარტოვისა და დასასრულის განცდა, რომელსაც გამარჯვების ჩვეული ადამიანები უფრო მტკივნეულად განიცდიან,. ძველი, დროით გამოცდილი გრძნობებით უნდა გაწონასწორდეს" — აი, რარიგ მოძღვრავს თავის მეუღლეს ადუა. წერილის ავტორის. ანგარებაში ეჭვს ვერავინ შეიტანს: პავაროტების საქორწილო კონტრაქტი სიმდიდრის თანაბრად განაწილებას გულისხმობს. ამიტომაც, განქორწინებაზე (იტალიურზე, რა თქმა უნდა) ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

(„ფიგარო"
28 თებერვალი, 1996 წ)

**რედაქციის მინაწერი: რამდენიმე კვირის წინ ლუჩიანო და ადუა განქორწინდნენ. სხვათაშორის, ადუას 250 000 000 დოლარი ერგო.**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. მამოძრავებელი ძალა; 3. მსოფლიოს მეათე ჩემპიონი ჭადრაკში; 6. ცუდი გემო ღვინისა, ჭურჭლისგან მიცემული; 8. ლიტერატურა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, რომელშიც შექებულია სიყვარული, რაინდული პატიოსნება; 9. ტბა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე; 12. კუნძული ატლანტის ოკეანეში; 15. ქართული მხატვრული კულტურის ძეგლი; 17. უღელტეხილი პოლონეთისა და ყოფილი ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე; 18. სახელი ფრანგი პოეტისა, რომლის ლექსი „ზღვათამფლობელი" თარგმნა ილია ჭავჭავაძემ; 19. გარეული ცხვარი; 20. კათოლიკე სასულიერო პირის საქორწილო მოპარსული ადგილი; 21. მოფერებით მოხსენიება ღვინისა; 23. ქართველი კინორეჟისორი; 24. გამოთქმა, რომლის მნიშვნელობა არ უდრის მასში შემავალ სიტყვათა მნიშვნელობებს; 27. მთავარი როლის შემსრულებელი ა.რეხვიაშვილის ფილმში „საფეხური"; 29. სინარნარე მიხვრა-მოხვრაში; 31. სტომატოლოგიის ნაწილი; 32. ორწვერი, ანუ... 33. ფრანგი ფერმწერი, პეიზაჟისტი; 34. მამაკაცის სახელი.

**შვეულად:** 1. სწორი ხაზი; 2. სოფელი დასავლეთ საქართველოში; 4. ისტორიული ციხე-ქალაქი დასავლეთ საქართველოში; 5. მასალათა ნარევი მახტურ ლუმელებში ლითონთა დნობისას; 6. ქართველი პიანისტი; 7. აკაკის ლექსი; 10. ორგანიზმის ისტორიული განვითარების პროცესში პირვანდელი ფუნქციის დაკარგვის გამო განუვითარებელი ორგანო; 11. მსტოვარი, ჯაშუში ძველ ათენში; 13. ნაგებობა გუშაგისათვის, გზის დარაჯისათვის; 14. ხელის გრანატის ტყორცნაში გაწვრთნილი ჯარისკაცი ძველ არმიებში; 15. წიგნის ან ხელნაწერის თავში ან ბოლოში დართული ორნამენტი, ნახატი; 16. მოწყობილობა ზუსტ ხელსაწყოებში; 22. მოწითალო წრე წყლულის გარშემო; 23. ე.მაღალაშვილის სცენური სახე; 25. ცხენებშებმული საზიდარი; 26. ფრანგი დირიჟორი; 28. ნატო ვაჩნაძის ეკრანული სახე; 30. მტვრის ნაწილაკი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ნათაძე [ed. note: printed name reads "ნოდარ ბრიგალაშვილი"]

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი: